საზოგადოებრივი მაუწყებლის
2023 წლის
II კვარტლის

# ანგარიში

# ახალ შენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში შესრულებული სამუშაო II კვარტალი

წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2023 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისამდე პერიოდში, ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N 31-ში მშენებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ობიექტზე დაწყებული და განხორციელებული სამუშაოების შესახებ. ზემოთხსენებული პერიოდის განმავლობაში, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი კომპანია შპს „დაგი“ ახორციელებდა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოებს, აგრეთვე, საფასადე, მოპირკეთებით და გადახურვის კონსტრუქციის მოწყობის სამუშაოებს. კონტრაქტორი კომპანია შპს „თბილი სახლი“ ახორციელებდა საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოებს. კერძოდ:

**მთავარი შენობა** (ბლოკი A)

- აპრილის თვეში დაიწყო და განხორციელდა გადახურვის კონსტრუქციის მემბრანის მოწყობის სამუშაოების 100%;
- განხორციელდა ანტენების მოწყობისთვის საყრდენი კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები;
- დამონტაჟდა გადახურვის კონსტრუქციიდან წყლის არინების სისტემა;
- განხორციელდა საფასადე სისტემების 75%. დამონტაჟებულია მინაპაკეტის 30%;
- განხორციელდა ჰაერსატარების 80%-ის მონტაჟი და ხმის იზოლაცია;
- განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო სპრინკლერების 90%-ის მონტაჟი;
- განხორციელდა კაბელარხების (ელექტროობა და სუსტი დენები) 80 %-ის სამონტაჟო სამუშაოები;
- დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაციის საკაბელო სისტემის 90%;
- დამონტაჟებულია საკანალიზაციო მილების 90%;
- დამონტაჟებულია ფანკოილების 20%;
- დამონტაჟებულია დეკორატიული წითელი კონსტრუქციის 90%;
- განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მილსადენების და კარადების 80% მონტაჟი. შეთანხმებულია აკუსტიკური მოპირკეთების მასალების და კარებების 30%;
- დაწყებულია თაბაშირ-მუყაოს ტიხრების სამონტაჟო სამუშაოები. განხორციელებულია 10%;
- შეთანხმებულია და შეკვეთილია ლიფტები 100%.

**პავილიონის შენობა** (ბლოკი B)

- განხორციელდა შიდა ტიხრების 80%-ის სამონტაჟო სამუშაოები;
- დასრულებულია ბლოკის გარე კედლების მოწყობის სამუშაოების 100%;
- განხორციელდა გარე კედლების შებათქაშების და დათბუნვის სამუშაოების 30%;
- დასრულებულია გადახურვის კონსტრქუციაზე ვენტილაციის დანადგარების განთავსებისთვის ფუნდამენტის მოწყობის სამუშაოები 100%;
- დაწყებულია N4 პავილიონის გადახურვის კონსტრუქციაზე მემბრანის მოწყობის სამუშაოები, განხორციელებულია 20%;
- განხორციელდა N1, N2, და N3 პავილიონების სახურავის სამონტაჟო სამუშაოების 90%;
- დასრულებულია დამიწების შიდა კონტურის მოწყობის სამუშაოების 90%;

- დაწყებულია კერამზიტის ტიხრების მოწყობა, განხორციელებულია 25%;
- დაწყებულია საფასადე სისტემების მოწყობის სამუშაოები, განხორციელებულია 5%;
- განხორციელდა პავილიონის ლითონ-კონსტრუქციების ხანძარმედეგი საღებავით დამუშავების 95%;
- შეკვეთილია ლიფტების 100%;
- შეთანხმებულია აკუსტიკური მასალების 30%;
- განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მილსადენების 20%-ის მონტაჟი;
- განხორციელდა კაბელარხების 15% სამონტაჟო სამუშაოები;
- განხორციელდა ჰაერსატარების ხმის იზოლაციის სამუშაოები, 15%.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურულ გეგმარებაში ცვლილების შეტანის გათვალისწინებით განხორციელდა საინჟინრო პროექტის შესაბამისი კორექტირება, რამაც გამოიწვია პროექტის 41 დადგენილებასთან მიმართებაში შესაბამისობის დადასტურების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (112) შეთანხმების საჭიროება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 112 სამსახურის პროექტთან მიმართებაში მოთხოვნების წარმოდგენის შემთხვევაში, პროექტის ავტორის მიერ შემუშავებულ იქნება განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია. სამუშაოები მიმდინარეობს დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე პროექტის ავტორის მიერ კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

**არქივი** (ბლოკი C):

არქიტექტურული და სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების გამო, დროებით შეჩერებულია საინჟინრო და მოპირკეთებითი სამუშაოები. რკინაბეტონის კარკასის მოწყობის სამუშაოები 100%-ით შესრულებულია დადასტურებული დოკუმენტაციის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ დამატებითი სართულის მოწყობითვის შესაბამისი სამშენებლო კომპანიის შერჩევისთვის მომზადებულ იქნა საჭირო დოკუმენტაცია და გამოცხადებულია შესაბამისი ტენდერი.

**ტექნიკური შენობა** (ბლოკი D)

- შესრულებულია საძირკვლის მოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების 100%;
- დასრულებულია ბეტონის ფილის მოწყობის სამუშაოების 100%;
- დაწყებულია კედლების არმირების მოწყობის სამუშაოები, 15%;

**ავტოსადგომის შენობა** (ბლოკი E)

- შესრულებულია საძირკვლის მოწყობისთვის მიწის სამუშაოები, 100%;
- შესრულებულია საძირკვლის მოწყობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების 100%;
- შესრულებულია საძირკვლის ფილის ბეტონირების 100%;
- შესრულებულია პირველი რიგის კედლებისა და მზიდი კოლონების არმირების მოწყობა 40%;
- შესრულებულია პირველი რიგის სანიაღვრე ჭების და მილსადენების სამონტაჟო სამუშაოების 95%;

## გარე ქსელები

შესაბამის საქალაქო სამსახურებთან კომუნიკაციის შედეგად, შემუშავებულია ობიექტის გარე ქსელებთან დაერთების ტექნიკური დავალებები.

მოცემულ ეტაპზე მიღებულია ობიექტის ელ.მომარაგების ძირითადი და დამატებითი ქსელით უზრუნველყოფის პირობა. აგრეთვე, გაფორმებულია ხელშეკრულება „თბილისი ენერჯი"-სთან 7|Page ბუნებრივი აირის ობიექტის ტერიტორიაზე შემოყვანასა და ობიექტის წითელი ხაზის გასწვრივ წარმოდგენილი ბუნებრივი აირის მილსადენის მიწაში ჩადებასთან დაკავშირებით (მოცემულ არეში ტელევიზიის შემოსასვლელის მოწყობის მიზნით).

აგრეთვე, მიღებულია ინტერნეტ პროვაიდერის პირობა ქსელზე დაერთებისთვის.

## სატენდერო საკითხები

- შესაბამისი სატენდერო პროცედურებისთვის მომზადებულია კომპლექსის ავეჯის დოკუმენტაცია (ბოლო ეტაპის კორექტირების გათვალისწინებით);
- შემუშავებულია დოკუმენტაციის პაკეტი და გაშვებულია არქივის დამატებითი სართულის სამშენებლო სამუშაოების ტენდერი;
- მიმდინარეობს დოკუმენტაციის შემუშავება ოპტიკური კაბელის შესყიდვის ტენდერისთვის;
- მომზადების პროცესშია ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია.

## ფინანსური მონიტორინგი

2023 წლის მე-II კვარტალი შპს „დაგი" (სამშენებლო სამუშაოები) - 2 693 351 ლარი; შპს „თბილი სახლი" (საინჟინრო სამუშაოები) - 981 324 ლარი.

# შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი
II კვარტალი

| გასართობი პროგრამები | საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამები | საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები | სერიალი | სპორტი | შემეცნებითი პროგრამები |
|---|---|---|---|---|---|
| იუმორისტული | მუსიკალური კონკურსი | ახალი ამბები | პირველი არხის წარმოებული | გადაცემა სპორტზე და სპორტსმენებზე | ხელოვნება, კულტურა, ისტორია |
| კონცერტები | შემეცნებითი კონკურსი | სოციალურ პოლიტიკური გადაცემები | ევროპული | სპორტული რეპორტაჟი | თემატური თოქშოუ |
| კულინარია | ანიმაცია | ეკონომიკა და ბიზნესი | | | სოფლის მეურნეობა |
| მუსიკალურ გასართობი | | საგამოძიებო ჟურნალისტიკა | | | შემეცნებით გასართობი |
| სატელევიზიო თამაში | | | | | დოკუმენტური ფილმები |
| **5.55%** | **3.84%** | **33.19%** | **13.42%** | **8.36%** | **35.64%** |



## მნიშვნელოვანი სიახლეები

### 26 მაისი

26 მაისს, 08:00 საათიდან 18:00 საათამდე პირველი არხი რუსთაველის გამზირიდან საქართველოს რადიოს სპეციალური, ცოცხალი ეთერით მაუწყებლობდა.

https://rb.gy/dl11j

### ევროპული პერსპექტივა

პირველი არხის მიერ პროექტის, „ევროპული პერსპექტივის“ ფარგლებში ახალი ამბების გაცვლა დაიწყო.

https://rb.gy/adl8f

### 2023 წლის საბავშვო ევროვიზია

„რანინას“ მეექვსე სეზონის გამარჯვებული ანასტასია ვასაძე, საქართველოს 2023 წლის საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

https://shorturl.at/mJM46

### თინათინ ბერძენიშვილის გამოსვლა EPRA-ს ფორუმზე

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) ფორუმის სპიკერად წარდგა.

https://shorturl.at/rDEHM

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

თბილისში 21 ივნისს ევროპის ახალგაზრდულმა საფეხბურთო ჩემპიონატმა აილო სტრატი, რომელიც საქართველოს პირველი არხის ეთერში იხილა მაყურებელმა.

https://shorturl.at/foxQU

### მათემატიკის ონლაინ ოლიმპიადის გამარჯვებულები

„ტელესკოლის“ მათემატიკის ონლაინოლიმპიადის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

https://shorturl.at/dS147

### რადიო 98 წლისაა

23 მაისს საქართველოში პირველი მაუწყებლობიდან 98 წელი შესრულდა. საქართველოს რადიომ, ამიერკავკასიაში პირველმა, 1925 წლიდან დაიწყო მაუწყებლობა.

https://rb.gy/23vi0

## EBU-ს გენერალური ასამბლეა

თინათინ ბერძენიშვილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე საზოგადოებრივი მედიის მიუკერძოებლობის პანელზე წარდგა

https://shorturl.at/tKT89

## ჯილდო მხარდაჭერისთვის

პირველი არხი „ხელოვან ქალთა ციფრული გამოფენის კვირეულის" მხარდაჭერისთვის დაჯილდოვდა.

https://shorturl.at/pwxOU

## VOD პლატფორმის კვლევა

პირველი არხი VOD პლატფორმის შესახებ კვლევას აქვეყნებს.

https://shorturl.at/louwS

## შეხვედრა დანიელ ჟურნალისტებთან

პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი დანიელ ჟურნალისტებს შეხვდა.

https://rb.gy/4d2ma

## EBU - იურიდიული კომიტეტის წევრობა

საქართველოს პირველი არხის მთავარი იურისტი ელენე მიხაილოვა ევროპის მაუწყებელთა კავშირის იურიდიული კომიტეტის წევრად აირჩიეს.

https://rb.gy/ncgtm

## ERP შესყიდვისთვის ბაზრის კვლევა

პირველმა არხმა საწარმოო რესურსების მართვის სისტემის (ERP) შესყიდვისთვის ბაზრის კვლევა გამოაცხადა.

https://rb.gy/p45gs

## ტელეფილმები

### შიდა წარმოება

**„დამოუკიდებლობის ამბავი - 26 მაისი“** - რეჟისორი ლევან ახობაძე, ავტორი მიხეილ ბასილაძე
**„ტრადიცია და ინოვაცია“** - რეჟისორი შალვა შენგელი, ლევან კიტია
**„ქართველი მწერლები პარტიულ სასაკლაოზე“** - რეჟისორი შალვა შენგელი
**„ლილი გეგელია“** (წარმოებაში) - რეჟისორი ლევან ბზვანელი
**„ტელედოკი“**
**„ძაღლი მოჩვენება“** - რეჟისორი კოტე ჩლაიძე
**„რაც მაცვია“** - რეჟისორი თათია ახალშენაშვილი
**„მერცხლის ტრაექტორია“** - რეჟისორი ლევან შუბაშვილი
**„ჩვენი მატარებელი პლატფორმიდან გავიდა“** - რეჟისორი ნათია ბერიძე
**„ირანელი ქალის სოლო“** - რეჟისორი ნინო კაკაურიძე
**„ჭერემი“** - რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი
**„გადატვირთვა“** - რეჟისორი მანანა ხიდაშელი
**„მე ვდგავარ შენს წინ“** - რეჟისორი ხათუნა ჩაგუნავა

### თანაწარმოება

დასრულდა და ჩაბარდა:

**„შაშვი შაშვი მაყვალი“** - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი - რეჟისორი ელენე ნავერიანი, სცენარისტები - ელენე ნავერიანი, ნიკოლოზ მდივანი

**„ანტიკვარიატი“** - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი - რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე, სცენარისტები ოლეგ ნეგინი, რუსუდან გლურჯიძე

### მრავალფეროვანი საქართველო

- ყოველდღიურ რეჟიმში, 1tv.ge-ზე ითარგმნებოდა ახალი ამბები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ოთხი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ გადიოდა ეთერში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და მიმდინარეობდა „მოამბის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმნა ორივე ენაზე.

## ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 39,2 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 3,5 მილიონი; გვერდს დაემატა 37,098 გამომწერი.

### 1tv.ge საიტის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| | II კვარტალი 2023 |
| ნახვა - 6 830 000 | |
| საშუალოდ დღეში ნახვა - 75 000 | |
| მაქსიმალური მაჩვენებელი - 171 000 | |
| | 21 ივნისი 2023 |

### იუთუბარხების სტატისტიკა

| | |
|---|---|
| | II კვარტალი 2023 |
| ნახვა - 37 600 000 | |
| საშუალოდ დღეში ნახვა - 413 000 | |
| მაქსიმალური მაჩვენებელი - 489 000 | |
| | 14 მაისი 2023 |

### 1TVPLAY

ამ პერიოდში გადმოიწერა **17 ათასმა ახალმა მომხმარებელმა;**
კვარტლის განმავლობაში მოიხმარა **59 ათასმა ადამიანმა;**
AET (აპლიკაციაში გატარებული საშუალო დრო) – **2 საათი და 20 წუთი.**

### TikTok

პირველი არხი ტიკ-ტოკ გვერდს, 2023 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით,
ჰყავს **55 216 გამომწერი.**
ვიდეოებს ჯამში აქვს **1,6 მილიონი მოწონება.**

### Instagram

პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს, 2023 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით,
ჰყავს **41 900 გამომწერი.**

## „1TV.GE NEWS“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 24,3 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 562,400.

გვერდს დაემატა 11,663 გამომწერი.

## „მასტერშეფი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 22,9 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 294,400.

გვერდს დაემატა 6959 გამომწერი.

## „პირადი ექიმი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,8 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 114,100.

გვერდს დაემატა 5143 გამომწერი.

## „ფერმა“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 2,1 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 95,400.

გვერდს დაემატა 3197 გამომწერი.

## „დღის კოდი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 622,700;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 39,600.

გვერდს დაემატა 782 გამომწერი.

## „პირველი არხი სპორტი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 6,5 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 604,300.

გვერდს დაემატა 7015 გამომწერი.

## „ახალი დღე“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 4,1 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 241,100.

გვერდს დაემატა 2616 გამომწერი.

## „აკუსტიკა“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 2,4 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 249,800.

გვერდს დაემატა 4399 გამომწერი.

## „ამ შაბათ-კვირას“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 3,9 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლის ჩართულობა - 143,100.

გვერდს დაემატა 4626 გამომწერი.

## „რეალური სივრცე“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,5 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 64,300.

გვერდს დაემატა 2685 გამომწერი.

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

## *1. ხელშეკრულებების შესახებ*

2023 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 171 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/საპონსორო და სხვ.).

## *2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ*

*2.1*

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2023 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო** | საჯარო ინფორმაციის გაცემა | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში<br>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.<br>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად. |
| 2 | **ფ/პ ავთანდილ ძიძიგური** | უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა |
| 3 | **შპს "სტუდია ფონოგრაფი"** | სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.<br>- სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი |
| 4 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 5 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება | _ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.<br>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | **დონარა შონავა** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, შემცირდა დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა. დანარჩენ ნაწილში დ. შონავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- დ. შონავას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დარჩა განუხილველი.<br>**დავა დასრულებულია** |
| 7 | **გიორგი სუხიტაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. სუხიტაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.<br>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გ. სუხიტაშვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.<br>**დავა დასრულებულია** |
| 8 | **მარიამ სონიშვილი** | ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 9 | **დალი ბარაბაძე** | ზიანის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დ. ბარაბაძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. |
| 10 | **ირაკლი აბსანძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 11 | **იმედა დარსალია** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 12 | **თამთა ჯანაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 13 | **სოფიო ზედელაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 | **არაზ მამოვი** | დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და ხელფასის გათანაბრება თავდაპირველ ანაზღაურებასთან | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 15 | **მაკა თურქია** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის, ასევე, განაცდურის ანაზღაურება. |
| 16 | **ქეთინო დეკანოზიშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ მაუწყებელს ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.<br>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, ქ. დეკანოზიშვილის კასაცია დაუშვებლად იქნა ცნობილი.<br>**დავა დასრულებულია** |

## 2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2023 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "პრაიმ თაიმი"** | 24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება | _ საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.<br>- ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა. |
| 2 | **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო** | ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა | _ სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.<br>თუმცა, ამ ეტაპამდე, უცნობია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საჩივართან დაკავშირებით. |

## 2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს**

“საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი“-ს, შპს “ამპლიტუდა“-ს, შპს “გრინ ბილდინგი“-ს, შპს “კრეატივ ქორნერი“-ს, შპს “დუტა პროდაქშენ“-ის, შპს “ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“-ს, ა(ა)იპ “საკალათბურთო კლუბი ვითა“-ს, შპს “პიართაიმი“-ს, შპს “ბიოფუდჯორჯია“-ს, ა(ა)იპ “ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ“, შპს “ტიფლის ტვ“-ის, შპს “რადიო უცნობის“, შპს“Georgian Water & Company“ და შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ (თუმცა, შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18,05,2010წ. განჩინებით)**, აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნა მხოლოდ **1 403 23 ლარის ოდენობით.** რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს “სქაი ჯორჯია“-ს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ შპს “სქაი ჯორჯია“-სთვის **14 318 01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.** მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს “სქაი ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე.**

  სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

  2021 წლის 14 ივლისს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და იმ მოტივით, რომ ვერ იქნა მოძიებული, თუ რა აქტივები გააჩნია შპს “სქაი ჯორჯიას“, აქტივების მოძიების მიზნით, კრება გადაიდო განუსაზღვრელი ვადით.

## ***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2023 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შემოვიდა 1 განცხადება, რომელიც დაკმაყოფილდა.

## ***4. სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ წარმოდგენილი საჩივრების შესახებ***

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2023 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

### ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2023 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

### ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2023 წლის II კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 40 297 231 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2023 წლის II კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 24 245 877 ლარი. აქედან, 21 502 800 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 2 011 479 ლარი შეადგინა დეპოზიტის სარგებელმა, ხოლო - 731 598 ლარი შეადგინა კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2023 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენდა 21 603 759 ლარს.

2023 წლის II კვარტლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 49 895 294 ლარს, ხოლო II კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 52 537 413 ლარი.

2023 წლის II კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

### ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 334,788 | 234,144 | 100,644 | 69.9% |
| გენ.დირ. და დაქვ.სამს | 1,089,749 | 874,755 | 214,994 | 80.3% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,494,962 | 3,340,680 | 154,282 | 95.6% |
| მედია | 6,216,956 | 5,136,698 | 1,080,258 | 82.6% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 3,998,031 | 3,177,510 | 820,521 | 79.5% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 18,265,775 | 3,434,169 | 14,831,606 | 18.8% |
| სხვა გადასახდელები | 6,896,970 | 5,405,802 | 1,491,168 | 78.4% |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **40,297,231** | **21,603,759** | **18,693,473** | **53.6%** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2023 წლის II კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 18 მლნ. 693 ათასი ლარით ნაკლები, რაც ძირითადად გამოწვეულია ახალი შენობის მშენებლობის ხარჯების მომდევნო კვარტლებში გადანაწილებით.

## ბიუჯეტის შესრულება, 2023 II კვ.




## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2023 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,599,116 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,547,986 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 51 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

## 2023 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 215,238 | 209,678 | 5,560 | 97.4% |
| გენ.დირ. და დაქვ.სამს | 880,999 | 784,919 | 96,080 | 89.1% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 2,813,719 | 2,836,163 | (22,444) | 100.8% |
| მედია | 2,062,557 | 2,113,279 | (50,722) | 102.5% |
